

(სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ და შპს „თბილი სახლი“-ს შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებულ N32070202/03/80 ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ)

NAT180004636

ქ.თბილისი

აგვისტო, 2020 წელი.

ერთის მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის დავით ფარცვანიას სახით და მეორეს მხრივ შპს „თბილი სახლი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ კურტანიძის სახით, მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-3 მუხლის, სააგენტოს დირექტორის მოადგილის საკურატოროს (სამშენებლო ინფრასტრუქტურის განვითარების დარგში) მიმდინარე წლის 24 აგვისტოს N721979 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით შევთანხმდით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულების საფუძველზე შპს „თბილი სახლი“ ახორციელებს ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის მშენებლობის სამუშაოებს საერთო ღირებულებით 4 272 794.87 ლარი, სამშენებლო სამუშაოების დასასრულების ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 10 აგვისტო.

სააგენტოს დირექტორის მოადგილის საკურატოროს (სამშენებლო ინფრასტრუქტურის განვითარების დარგში) მიმდინარე წლის 24 აგვისტოს N721979 სამსახურებრივი ბარათით დგინდება, რომ ხარჯთაღრიცხვით, ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებიდან გათვალისწინებულია ნარგავების დარგვა. იმის გათვალისწინებით, რომ აგვისტოს თვეში არ არის რეკომენდირებული ნარგავების დარგვა, სასურველია ნარგავების დარგვა მოხდეს სექტემბრის თვეში. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული N32070202/03/80 ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 1 ოქტომბრამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის ეზოს ნარგავების დარგვის ვადა გაიზარდოს 51 კალენდარული დღით, მიმდინარე წლის 11 აგვისტოდან 01 ოქტომბრის ჩათვლით საჯარიმო სანქციების გამოყენების გარეშე.

2. მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.8. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1.8. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქ. კასპის პროფესიული სასწავლებლის სასწავლო შენობის შიდა სამუშაოების დასრულება უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 795 (შვიდას ოთხმოცდათხუთმეტი) კალენდარულ დღეში, 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით, შენობის გარე სამუშაოების დასრულება უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 805 (რვაასხუთი) კალენდარულ

დღეში, 2020 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ეზოს ნარგავების დარგვა უზრუნველყოს 2020 წლის 01 ოქტომბრის ჩათვლით.

3. მხარეთა შორის 2018 წლის 29 მაისს გაფორმებული N32070202/03/80 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.9. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1.9. წინამდებარე ხელშეკრულება ძალშია 2018 წლის 29 მაისიდან 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით“.

4. მიმწოდებელი ვალდებულია 2020 წლის 08 სექტემბრამდე წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადად განსაზღვრული იქნება არანაკლებ 2021 წლის 01 თებერვალი გარანტიის წარმოდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებამოსილებას ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.5 პუნქტით დადგენილი პირობის შესაბამისად, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

5. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები დარჩეს უცვლელი.

6. შეთანხმება შედგენილია სამი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი რჩება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“
დირექტორი დავით ფარცვანია

(ხელმოწერა, ბეჭედი)

შპს „თბილი სახლი“
დირექტორი
მალხაზ კურტანიძე

(ხელმოწერა, ბეჭედი)



სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო



MES 2 20 0000721979

24/08/2020

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
ბატონ დავით ფარცვანიას

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო დავით,

როგორც თქვენთვის ცნობილია სააგენტოსთან დადებული N32070202/03/80 ხელშეკრულების თანახმად შპს „თბილი სახლი“ ქ. კასპში აწარმოებს პროფ. სასწავლებლის სამშენებლო სამუშაოებს. ხარჯთაღრიცხვით, ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებიდან გათვალისწინებულია ნარგავების დარგვა. იმასთან დაკავშირებით, რომ აგვისტოს თვეში არ არის რეკომენდირებული ნარგავების დარგვა, სასურველია ნარგავების დარგვა მოხდეს სექტემბრის თვეში.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია N32070202/03/80 ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 1 ოქტომბრამდე.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს სათანადო ღონისძიებების გატარება.

ამასთან, გთხოვთ N711915 (20.08.2020წ.) სამსახურებრივ ბარათს არ მისცეთ მსვლელობა.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
დირექტორის მოადგილის საკურატორო სამშენებლო
ინფრასტრუქტურის განვითარების დარგში
პროექტების მართვის კოორდინატორი
ჭონიაშვილი მერაბ